



6711/3-26/21 2 01072021

6711/3-26/21
01-07-2021

საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ბატონ ლაშა ხუციშვილს

ბატონო ლაშა,

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, გამომიგზავნოთ ინფორმაცია, რა სახის საგადასახადო შეღავათები მოქმედებს მრავალშვილიანი ოჯახებისათვის და სამინისტრო მუშაობს თუ არა მათთვის დამატებითი შეღავათების დაწესების საკითხზე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე ელისაშვილი

ა. ელისაშვილი



საქართველოს
ფინანსთა მინისტრი
Minister of Finance
of Georgia



<https://edoc.mof.ge/public/#/>

89073-05-01-2-202107140915

N 05-01/89073
14/07/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ალექსანდრე ელისაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თქვენი 2021 წლის პირველი ივლისის N6711/3-26/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით მხოლოდ მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებზე არის დაწესებული საგადასახადო შეღავათი.

კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.ვ“ ქვეპუნქტით, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სამ- ან მეტშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული 3000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებულ 3 000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 50 პროცენტით უმცირდება.

ამასთან, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის დამატებითი საგადასახადო შეღავათის დაწესების საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ამ ეტაპზე არ განიხილება.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალური პროგრამების ფარგლებში ბავშვების დახმარებას, გაცნობებთ:

1. „სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისათვის (რომელთა სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 120 000-ზე), რომლებშიც 16 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ, 2021 წლის 1 ივლისიდან გათვალისწინებულია ბავშვზე ყოველთვიური საარსებო შემწეობა 100 ლარის ოდენობით (2021 წლის 1 ივლისამდე ბავშვების დახმარების ოდენობა შეადგენდა ბავშვზე 50 ლარს), რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან წლიურად საჭიროა 261.0 მლნ ლარამდე;

2. „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის №279 დადგენილების შესაბამისად 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვები იღებენ ყოველთვიურ დახმარებას 250 ლარის ოდენობით, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართება წლიურად 36.0 მლნ ლარზე მეტი;

3. „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №262 დადგენილების შესაბამისად, სოციალური დახმარება გაიცემა მრავალშვილიან ოჯახებზე და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ბავშვიან ოჯახებზე, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართება წლიურად 20.0 მლნ ლარზე მეტი.

ამასთან, ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული კრიზისის საპასუხოდ საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში:

- 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე 2020 წელს გაიცა ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, რისთვისაც მიიმართა 187.8 მლნ ლარამდე, მათ შორის, stopcov ფონდიდან მიიმართა 123.0 მლნ ლარი;

- 0-დან 100 000 სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 3 და მეტი 16 წლამდე ასაკის შვილი, გაიცა სოციალური დახმარება 6 თვის განმავლობაში 600 ლარის ოდენობით (ორჯერადი პაკეტი 2020 და 2021 წლებში), რისთვისაც 2020-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 30.0 მლნ ლარზე მეტი;

- მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისთვის, მათ შორის შშმ ბავშვებისთვის გაიცა დახმარება 6 თვის განმავლობაში 600 ლარის ოდენობით (ორჯერადი პაკეტი 2020 და 2021 წლებში), რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2020-2021 წლებში მიიმართა 55.0 მლნ ლარამდე.

ბავშვზე ზრუნვის და სხვა სოციალური პროგრამების თაობაზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიზანშეწონილია მიმართოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

პატივისცემით,

ლამა ხუციშვილი



მინისტრი

